ISSN 1512-1801

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

რეზო ჭეიშვილის შემოქმედებითი იმპულსები (სასწავლო პროექტი)

მარინა არაბიძე-აშვეთია
სსიპ წმინდა ნინოს სახელობის ქუთაისის №3 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული მასწავლებელი

ანოტაცია

თემაში წარმოდგენილია თანამედროვე რეალისტი, კლასიკოსი მწერლის რეზო ჭეიშვილის შემოქმედების ნიმუშები, რომლებშიც ასახულია ცხოვრებისეული რეალობის მტკივნეული საკითხები შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

პროექტის დაბადების რეალური საფუძველი ანუ პროექტები ცოცხალი სასწავლო პროცესში იბადება.

რეზო ჭეიშვილის ნოველა "ნობელი" და ნობელის გამოგონების მსოფლიო რეზონანსი.

ეკოლოგიური პრობლემები და საზოგადოების გულგრილობა - მწერლის ტკივილი.

ირონია - სიმართლის თქმის ხერხი.

"ოიდიპოს მეფე" და ნოველა "ნობელი" - იდეური ნათესაობის ახსნა.

მოსწავლეთაგან წაკითხული ნაწარმოებები და ნანახი ფილმები (ზოგადი მიმოხილვა).

ცოცხალი შეხვედრა - დიალოგი მწერალთან.

პროექტზე გაწეული გუნდური და ინდივიდუალური მუშაობის, აქტივობების აღწერა-ანალიზი ფოტო და ვიდეომასალის თანხლებით.

საკვანძო სიტყვები: *მწერალი, ეკოლოგია, ირონია, სიმართლე.*

სასწავლო პროექტების დაგეგმვა, მომზადება და განხორციელება ორიენტირებულია მოსწავლეთა კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარების განვითარებაზე.

პროექტით სწავლება აქტიური და მიზანმიმართული გზაა მოსწავლეთა გონებრივი პოტენციალის გამოვლენისა და სრულყოფისაკენ.

ეროვნული სასწავლო გეგმა იძლევა იმის საშუალებას, რომ სახელმძღვანელოში მოცემული მასალა განივრცოს, ახალი მიმართულებები შეიძინოს და პროექტის მასშტაბით გაიშალოს.

სწორედ ასეთი სამუშაოს იმპულსი მოგვცა IX კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელომ (ვ. როდონაიას რედაქციით), მასში ერთ-ერთი თავის რუბრიკაა **„სიბრძნე სიცილისა"**, რომელშიც სასწავლო მასალად შესულია **აკაკის „კუდაბზიკეთი", სულხან-საბას „მოტირალი და მოცინარი", <u>რეზო ჭეიშვილის</u> <u>„ნობელი".</u>** ამ უკანასკნელს 4 საათი ეთმობა. ნოველის შინაარსი და იდეური დატვირთვა მეტად საინტერესო და მრავალმხრივი კვლევის ობიექტი გახდა მოსწავლეთათვის. ამიტომაც ეს ინტერესი იქცა პროექტად.

ISSN 1512-1801

ბავშვები დაინტერესდნე ნაწარმოების იდეით, მწერლის ნააზრევის გამოხატვის თავისებური ფორმით (იუმორი, ირონია), წაიკითხეს და ინტერნეტით მოიძიეს ნოველის იდეის ამოცნობისათვის თავად ნაწარმოებში მოცემული ფარული კოდების გახსნისათვის საჭირო მასალა.

ამდენად, თავად ნოველაში მოცემული კოდებისა და ტექსტური სიგნალების ამოხსნა მოსწავლეთათვის დიდი ინტერესესის საგნად იქცა. ნოველის შესავალში საუბარია (სათაურის მინიშნებითაც) ნობელის დიდი მსოფლიო აღმოჩენის შესახებ (მე-19 ს-ის მოღვაწე ნორვეგიელმა მეცნიერმა ნობელიმ რომ აღმოაჩინა– დინამეტი), რომელიც უბედურებად იქცა ადამიანებისათვის მათივე უგუნურების გამო.

მოსწავლეები დაინტერესდნენ ნობელის პიროვნებით, მისი აღმოჩენით. მათი ინტერესის საბაბი ნოველის ფინალში მოცემული მწერლისეული დამაინტრიგებელი კითხვა გახლდათ: „რატომ სურდა სოფლის კლუბის გამგეს „ოიდიპოს მეფის" დადგმა სოფელ ბუყნურის კლკუბის სცენაზე?"

ნოველის ამ ორი მიმართულების გაგებას, გააზრებასა და ანალიზს, ანუ მწერლის იდეური ჩანაფიქრის ახსნას მართლაც სჭირდებოდა საკმაო შრომა. საჭირო იყო მასალის მოძიება. რეალობის გამოხატვის მწერლისეულმა მხატვრულმა საშუალებებმა მისი შემოქმედებისადმი ღრმა ინტერესი გამოიწვია. ეს ინტერესი სიღრმისეული განხილვის საგანი გახდა.

ასე დაიბადა ცოცხალ საგაკვეთილო პროცესში პროექტი **„რეზო ჭეიშვილის შემოქმედებითი იმპულსების წარმოჩენა",** რომელიც უნდა გაშლილიყო მოსწავლეთა დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობით, მწერლისა და მოსწავლეთა ცოცხალი თანამშრომლობით. დაიგეგმა პროექტის ფინალში მწერალთან უშუალო შეხვედრა, სადაც მოხდებოდა მოსწავლეთა პროექტის შედეგების პრეზენტაცია თავად მწერალ რეზო ჭეიშვილთან ცოცხალი შეხვედრა–დიალოგის ფონზე. მწერალთან გასაუბრების გზით წარმოჩნდებოდა მოსწავლეთა აზროვნების ძირითადი მიმართულებები, ანალიტიკური, იდეური ხედვის, კვლევისა და დასკვნების გამოტანის უნარები.

პროექტზე მუშაობისას აუცილებელი გახდა კლასგარეშე კითხვის ინტესიურად გაშლა. მასწავლებლის რჩევით, დსახელდა ნოველები, ფილმები, რომელთა გაცნობა კლასიკოსი მწერლის ცხოვრებისეული პრობლემების ორიგინალურ ხედვას წარმოაჩენდა, გამოსახვის ფორმის–სატირის სახით.

შარლ მონტესკიე წერდა: ,,მთავარი ის კი არაა, იკითხო, მთავარია, იფიქრო." სწორედ ფიქრის მორევში ჩაითრია მოსწავლეები რეზო ჭეიშვილის ნოველა „ნობელიმ".

ცნობილი ლიტერატურათმცოდნე რეზო ყარალაშვილი თავის პუბლიცისტურ წერილში „მხატვრული ნაწარმოების აღქმა" წერდა: „ლიტერატურული ნაწარმოების გაგება გულისხმობს არა მხოლოდ ფაქტების მოდელს, არამედ მთელ ნაწარმოებს, როგორც გარკვეული შინაარსის შემცველ მოდელს. ამიტომ ლიტერატურული ნაწარმოების ჭეშმარიტი შინაარსი სიუჟეტური განვითარების დონეზე კი არ არის საძებნი, არამედ მის მიღმა. მწერლის მთავარი სათქმელი ვლინდება ნაწარმოების სიუჟეტის, ტროპების, თხრობის სტილის, კომპოზიციისა და სხვადასხვა კოდების ერთიანობაში, რომელთა მეშვეობითაც მოწოდებულია ინფორმაცია. კლასიკოს მწერალს რეზო ჭეიშვილსაც მთელ რიგ ნაწარმოებებში სათქმელის გამოხატვის საშუალებად სატირა მოუმარჯვებია. ლიტერატურის სახელმძღვანელოში შეტანილი ნოველა

ISSN 1512-1801

,,ნობელიც" ეკოლოგიურ პრობლემას წარმოაჩენს სწორედ სატირის საშუალებით. მოსწავლეები დაინტერესდნენ, თუ როგორ წარმოჩნდა რეზო ჭეიშვილის სხვა ნაწარმოებებში მწერლის იდეური ჩანაფიქრი.

პროექტის მიზანიც ეს იყო. მოსწავლეთა წინაშე სრულიად ახალი ამოცანები დადგა. მასწავლებლისა და მოსწავლეთა კომპეტენციის მოპოვების პოტენცია და შესაძლებლობები გაიზარდა. 2 კვირაზე გაიწერა პროექტი, დანაწილდა აქტივობები, მოსწავლეთა ინტერესების სფეროების გათვალისწინებით დანაწილდა ჯგუფური დავალებები:

I ჯგუფი — ნობელისა და მისი სამეცნიერო მიღწევების ზოგადი მიმოხილვა.

II ჯგუფი — ბერძნული მითოლოგიიდან „ოიდიპოს მეფის" შინაარსისა და იდეური დატვირთვის გაგებისათვის საჭირო მასალის მოპოვება;

III ჯგუფი — რეზო ჭეიშვილის შემოქმედებიდან სატირულ-იუმორისტული გამოხატვის ხერხით აგებული, ნაწარმოებების წაკითხვის შედეგად მომზადებული ნარკვევების წარდგენა;

IV და V ჯგუფი — რეზო ჭეიშვილის ფილმების „ცისფერი მთებისა" და „ჩემი მეგობარი ნოდარის" იდეურ-მხატვრული ანალიზი.

გაიშალა მოსწავლეთა ინტენსიური მუშაობა მასწავლებლის კონსულტაციებისა და მუდმივი მონიტორინგის თანხლებით. კლასგარეშე მუშაობის ფორმატში მოსწავლეებმა კოლექტიურად ნახეს დასახელებული კინოფილმები. ბავშვები პროექტზე მუშაობის განმავლობაში ამჟღავნებდნენ როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ ინტერესს, ანაგრიშს უწევდნენ ერთმანეთს, კრიტიკულად აფასებდნენ მოვლენებს და მსჯელობდნენ სხვადასხვა საკითხზე. ამ გზით მათ უვითარდებათ პასუხისმგებლობის გრძნობა, თვითორგანიზაციის, შეფასებისა და თვითშეფასების უნარები, ეხმარებიან ერთმანეთს. ნაწარმოების იდეას უკავშირებენ რეალურ ცხოვრებას, სიტუაციას და არსებულ საგნებს, იყენებენ ტრანსფერს, ანუ გადმოაქვთ მითის იდეა ნაწარმოებში, ერთმანეთს ადარებენ ნოველებსა და ფილმებს, ეძებენ მათ შორის საერთოსა და განმასხვავებელ ნიშნებს, გამოთქვამენ ვარაუდებს, თავიანთ აღმოჩენებს უკავშირებენ მწერლის ჩანაფიქრს, მსჯელობენ,წაკითხულზე, მოძიებულზე, ნანახზე, შემდეგ, შეგროვებულ მასალას თავად მწერალთან განიხილავენ და გამოაქვთ სათანადო დასკვნები.

ვფიქრობთ, კლასიკოს მწერალთან მისივე შემოქმედების იმპულსებზე ცოცხალი დიალოგი იშვიათი ფუფუნებაა, და თუ ეს მოზარდებისა და მწერლის შეხვედრას ეხება, სწორედ რომ ბედნიერებაა, ამ გზით მოსწავლეებს უყალიბდებათ დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება. ისინი წარმოაჩენენ კვლევის, დასკვნების გამოტანის, მიზეზ–შედეგობრივი კავშირების აღმოჩენის, აზრთა გაზიარების, ანალიზისა და სინთეზის უნარებს, რაც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მისაღწევი შედეგების სრულყოფისკენაა მიმართული.

პროექტის პრეზენტაცია მწერლის ვიზიტით დასრულდა 22 მარტს: ბატონი რეზო ჭეიშვილი ეწვია წმ. ნინოს სახელობის IX[2] კლასს.

დასკვნითი გაკვეთილის I ნაწილში მოსწავლეებმა წაიკითხეს: „ნობელის" ტექსტიდან ნაწყვეტები. შემდეგ დახასიათდა მოქმედი გმირები — კლუბის გამგე, სტუმარი გოგი, ბუყნურელი საზოგადოება, აწგარდაცვლილი დომენტი.

ISSN 1512-1801

მოსწავლეებმა იმსჯელეს და ამოიცნეს ნაწარმოებიდან ტექსტური სიგნალები და ნოველის იდეა. აღნიშნეს, რომ დინამიტების გამოყენება დედაბუნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია, რაც ძლიერ აწუხებს მწერალს და ამ წუხილს სატირით წარმოაჩენს ისე, როგორც ამას ახერხებდა დიდი აკაკი სატირულ მოთხრობაში ,,უდაბზიკეთი", როგორც სულხან–საბა წარმოაჩენდა ადამიანთა ნაკლოვანებებსა და საზოგადოების მანკიერ მხარეებს იგავების ,,ცრუ" სიბრძნით. საფინალო გაკვეთილზე წარმოჩინდა და გაანალიზდა მეთევზე დომენტის ქელეხი (,,ნობელიდან"). რომელსაც თურმე ხელში ბადე არასოდეს სჭერია, ან კი რად უნდოდა ბადე, როცა ამონალის ბრწყინვალე მომხმარებელი იყო. გაანალიზდა ორი ძველი მეგობრის შეხვედრა. კლუბის გამგის წუხილი იმაზე, რაც სოფელში ხდება. ქალაქელი გოგი ეუბნება კლუბის გამგეს, როცა ისინი შეზარხოშებული მოდიან მეთევზის ქელეხიდან: „რა კარგი სახლი აგიგია, სოფელში ხალხი,როგორც ჩანს, კარგად ცხოვრობსო".

— ,,განა მაგაშია საქმე, გოგი? მაგაშია საქმე? ხალხი სადაა გოგი, ხალხია მაგენი? ხალხი კი არა, მხეცებია",–პასუხობს კლუბის გამგე, რომელმაც კარგად იცის, რომ ბუყნურელები მართლაც ,,არაა ხალხი", რადგან უმოწყალოდ ანადგურებენ ბუნებას სწორედ ნობელის გამოგონების წყალობით – ამონალით.

კლუბის გამგეს გული სტკივა იმიტომ, რომ ეს ადამიანები დინამიტით აფეთქებენ ყველაფერს, ქელეხსა და ქორწილში ისმის ამონალის ქუხილი, მდინარეში თევზები დინამიტის „ინტენსიურმა მოხმარებამ" გადააშენა, სოფელში ხელის თითები თითქმის ყველა მამაკაცს წაცლილი აქვს. მაინც კმაყოფილნი არიან. ეამაყებათ დასახიჩრებული სხეული.

გაკვეთილზე მოსწავლეებმა გასცეს პასუხი კითხვას: „რატომ უნდოდა კლუბის გამგეს სოფელში „ოიდიპოს მეფის" დადგმა?" სწორედ ეს კითხვა იყო ერთგვარი მაპროვოცირებელი საშუალება, უფრო ჩაღრმავებოდა მკითხველი მწერლის ჩანაფიქრს. ამჯერად, აუცილებელი გახდა ბავშვებს წაეკითხათ ,,ოიდიპოს მეფე" და ამოეხსნათ მისი იდეური კავშირი რეზო ჭეიშვილის ნოველასთან ,,ნობელი" მათ კარგად გააცნობიერეს „ოიდიპოს მეფის" შინაარსი, მასში დატრიალებული ტრაგედიის მიზეზები და აღნიშნეს, რომ ასეთი საშინელი შედეგი შესაძლებელია მათ ცხოვრებაშიც დადგეს. სწორედ ეკოლოგიური კატასტროფა მოუღებს სამყაროს ბოლოს ანუ ისეთივე უბედურება დატრიალდება, როგორც „ოიდიპოს მეფის" მითშია მოთხრობილი (დედას რომ ირთავს ცოლად გაუცნობიერებლად შვილი, რომელთანაც ოთხი შვილი ეყოლება, ხოლო მამას საკუღარი ხელით კლავს). სწორედ ასეთი გაუგონარი ტრაგედიისკენ მიექანება სამყარო, ადამიანი თუ არ შეაჩერებს მეცნიერული მიღწევების გაუკუღმართებულ, უმეცრულ ქმედებას.

ნოველაში არსად წერია: „გაუფრთხილდით დედაბუნებას!" ან „ადამიანო, შენს გონებას ტრაგედიად ნუ გადააქცევ!" ან „შორს, ამონალისაგან!" მაგრამ არის ტექსტური სიგნალები, თუნდაც სოფლის მკვიდრთა გატაცება დინამიტის ინტენსიური აფეთქებებით, კლუბის გამგის სევდიანი რეპლიკები და დამაინტრიგებელი ფინალი: „რატომ უნდოდა კლუბის გამგეს მაინც და მაინც „ოიდიპოს მეფის" დადგმა?", რომელთა ამოცნობა დაგათვალისწინება საშური საქმეა სამყაროს კატასტროფის თავიდან ასაცილებლად.

ISSN 1512-1801

საპრეზენტაციაო გაკვეთილზე დახვეწილი დეკლამაციური უნარიც გამოვლინდა. ნოველიდან კლუბის გამგისა და ქალაქელი გოგის დიალოგი შთამბეჭდავად წაიკითხა მოსწავლემ.

მწერალმა მოისმინა ბავშვებისაგან „ნობელის" ანალიზი. მოსწავლეებს მოუწონა მსჯელობისა და დამოუკიდებლად აზროვნების უნარები. თქვა, რომ სწორად ამოუხსნიათ ნოველის იდეა.

გაკვეთილზე მწერლის თანდასწრებით გაანალიზდა ნოველები: „ბიძია", „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი", „ღამის სტუმრები". ნაჩვენები იქნა ნაწყვეტები ფილმებიდან: „ჩემი მეგობარი ნოდარი", „ცისფერი მთები". მოსწავლეებმა წარმოადგინეს თავიანთი ჯგუფური ნამუშევარი აღნიშნული ფილმების შესახებ. მწერალმა ბრძანა, რომ როგორც ნოველებში, ასევე კინოხელოვნებაშიც ცხოვრებისეული ამბებია გადმოცემული. მაგალითად, „ჩემი მეგობარი ნოდარის" მთავარი გმირი მართლაც მწერლის მეგობარი ყოფილა, პოეტ ირაკლი ბაზაძის ძმა – ნოდარი.

მოსწავლეებმა მწერალს ჰკითხეს, თუ რას გულისხმობდა იგი „გრელანდიის" ეპიზოდში. პასუხი მეტად საინტერესო იყო: თურმე „თოვლიანი გრელანდიის" მაგივრად უნდა ყოფილიყო თეთრი დათვების სურათი, მაგრამ ეს შეუცვლიათ, ,,ამ დეტალით ჩრდილო მეზობელი გაგვიბრაზდებაო, ამიტომაც სურათი შეიცვალა „გრელანდიით", რომელზეც თოვლიანი მთებია გამოსახული. მწერალმა ბრძანა, რომ ეს სურათი ჩემი ჩანაფიქრის გამოხატვისათის უკეთესიც კი გამოვიდაო.

რაც შეეხება „გრენლანდიის" ჩამოვარდნას, რ. ჭეიშვილის თქმით, იგი ყველაზე მართალ კაცს დაეცა თავში. ეს ღიმილისმომგვრელი ეპიზოდი სევდის გამომხატველია, რომ ცხოვრებაში, სამწუხაროდ, ასე ხდება. მწერალმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, ამ ნაწარმოებში არსადაა არც სიყვარულის ისტორია, არც სპეცეფექტები ბრძოლისა ან ცხოვრებისეული ინტრიგები, მას დღემდე ჰყავს ყველა ასაკის კმაყოფილი მაყურებელი, იმიტომ, რომ კომუნისტური საზოგადოების აბსურდულობა, სიყალბე იუმორით „მსუბუქ ტალღაზეა" გამოხატული. მწერალმა-სცენარისტმა მოსწავლეებს მოუწონა ფილმის იდეის ხედვა.

მოსწავლეებმა მწერალს ჰკითხეს, ნოველა „ღამის სტუმრების" შესახებ. უთხრეს, რომ მათ ბოლომდე ვერ გაიაზრეს ნაწარმოების ფინალი. მწერალმა სიამოვნებით აუხსნა მათ, რომ ამ ნოველაში გამოყვანილი მთვრალი რუსი, სინათლის ჩაქრობა, ქუთაისელი მასპინძლები, სიმბოლურად იმაზე მიგვანიშნებს, რომ გადამთიელი სტუმარი (რუსი) უნდა შეაჩერო, გარეთ გაიყვანო, უნდა მოიშორო, შორს დადგე მისგან, თუ გინდა, მერე თავად არ გაგიხდეს მასპინძელი შენივე სუფრაზე.

მოსწავლეებმა მწერალს ჰკითხეს „ტყის ძმების" ტრადიციის შესახებ, მწერალმა რეზო ჭეიშვილმა განმარტა, რომ „ტყის ძმები" ქუთაისელი კალმის ოსტატები, დღესაც ხვდებიან ერთმანეთს მუხრანის ტყეში, ქართულ ჩოხაში გამოწყობილები. საუბრობენ თავიანთ შემოქმედებაზე, ლიტერატურაზე, პოეზიაზე. ეს ლამაზი ტრადიციაა.

მოსწავლეებმა იმის შესახებაც ჰკითხეს მწერალს, თუ რას უმზადებდა ახალს მკითხველს კალმის ოსტატი. მან თქვა, რომ მალე მის ახალ ნაწარმოებსაც იხილავს მკითხველი. მწერალმა დასძინა: **„ზოგჯერ წერენ გამონაგონს, რომელიც სიმართლეა, ზოგჯერ კი –,, სიმართლეს", რომელიც ყალბია".** მე პირველ თეზას მივყვები, თქვენც ამიტომ გამოგიჩენიათ ინტერესი ჩემი შემოქმედების მიმართ, რისთვისაც გმადლობთ!.."

ISSN 1512-1801

მწერალთან შეხვედა ორი აკადემიური საათის განმავლობაში მიმდინარეობდა.

ეს პროექტი, მისი ფინალი ანუ კლასიკოს მწერალ რეზო ჭეიშვილთან შეხვედრა მართლაც ნათელი ფურცელია სასკოლო საგანმანათლებლო მარათონში, რომელიც პროექტში მონაწილე ბავშვებს (ასევე მწერალთან დიალოგისა და შეხვედრის დამსწრე საზოგადოებას) არასოდეს დაავიწყდება.

მარინა არაბიძე-აშვეთია
წმ. ნინოს სახელობის №3 საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

პროექტის თვითშეფასების სქემა მოსწავლეთათვის

ყურადღებით გავეცანი პროექტის მიზანს	
სწორად ავირჩიე ინდივიდუალური და ჯგუფური სამუშაოები	
ვიმუშავე ინდივიდუალურად	
ვიმუშავე ჯგუფში	
წავიკითხე მწერალ რეზო ჭეიშვილის ნოველები: 1, 2, 3, 3-ზე მეტი	
შევაგროვე და დავახარისხე ინფორმაცია	
გამოვხატე საკუთარი თვალსაზრისი წაკითხული ტექსტებისა თუ ნანახი ფილმების შესახებ წერილობით და ზეპირად	
მწერალთან საუბრისას ჩემი მოსაზრება დაემთხვა ავტორისეულ იდეას	
ნაწარმოებთა იდეაზე ვიმსჯელე არგუმენტებით	
ვთვლი, რომ პროექტი წარმატებული იყო	

რეზო ჭეიშვილის შემოქმედებითი იმპულსები

სასწავლო პროექტი IX ლასში

პროექტის მიზანი: მწერალ რეზო ჭეიშვილის შემოქმედებითი იმპულსებისა და ტექსტური სიგნალების ამოცნობა, სახე–სიმბოლოების გარკვევა, გამოსახვის ხერხებით (სატირა, იუმორი) გამოხატული ცხოვრები სეული რეალობის ამოცნობა რამდენიმე ნაწარმოებისა და კინო ფილმის ფონზე. მოსწავლეთა ნააზრევისა და სულიერი ფასეულობების წარმოჩენა მწერალთან ცოცხალი დიალოგის კვა–ლობაზე.

პროექტის ამოცანები: დასახული მიზნის განსახორციელებლად მოსწავლეები ინაწი–ლებენ სხვადასხვა აქტივობას და განამტკიცებენ კოგნიტურ უნარებს:

ISSN 1512-1801

1. მწერლის შემოქმედების ნიმუშების წაკითხვა.
2. ბერძნული მითოლოგიის ნიმუშის ,,ოიდიპოს მეფის" მოძიება და შინაარსის გაცნობა.
3. ნაწარმოებებში გამოხატულ მოვლენათა შორის მიზეზ–შედეგობრივი კავშირების დადგენა.
4. მსჯელობის, ტექსტის გააზრების, დამოუკიდებელი და ჯგუფური მუშაობის, ნაწარმოების იდეის ამოცნობის, მსჯელობის, ნააზრევის საჯაროდ გამოტანის უნარების გამოვლინება მწერალთან ცოცხალ დიალოგში.

განხორციელების გზები: მოსწავლეები სხვა წყაროების (ინტერნეტი, ენციკლობე–დია, მითოლოგიური ლექსიკონი) საშუალებით მოიძევენ მასა–ლას ,,ოიდიპოს მეფის" შესახებ, შეძლებენ ტრანსფერს (გადმოტა–ნას)და მასალის რეზო ჭეიშვილის ნოველასთან დაკავშირებას. მის შინაარსში ამოიცნობენ მწერლის იდეურ მიმართულებას. შეასრულებენ ინდივიდუალურ და ჯგუფურ სამუშაოებს, მწერ–ლის შემოქმედების გასაცნობად წაიკითხავენ რეზო ჭეიშვილის ნაწარმოებებს, გააანალიზებენ ინდივიდუალურად და და ჯგუფ–ში შეაჯერებენ აზრებს, იმსჯელებენ მოქმედ პირთა ფსიქოლოგი–ურ პორტრეტებზე, გამოიყენებენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს, ნობელის მსოფლიო აღმოჩენის გააზრებისათვის მოამზადებენ ეკოლოგიურ ნარკვევს ნოველა ,, ნობელის" შესაბამისად. მასწავლებელთან ერთად დაგეგმავენ პროექტის საფინალო–საპრე–ზენტაციო გაკვეთილს სახელწოდებით ,,მწერალი გაკვეთილზე" ანუ ცოცხალი დიალოგი კლასიკოს მწერალ რეზო ჭეიშვილთან. მოსწავლეები აღნიშნულ სამუშაოს შეასრულებენ მასწავლებლის უშუალო მეთვალყურეობითა და კონსულტაციებით.

მოსალოდნელი შედეგები: პროექტზე მუშაობა და მისი განხორციელება განაპირო–ბებს ლიტერატურული გემოვნების დახვეწას, მკითხველის კულ ტურის ჩამოყალიბებას. მოსწავლეები შეძლებენ მწერლის ჩანაფიქ–რის ამოცნობას, გამოხატვის საშუალებების (სატირა, იუმორი,ირო–ნია), სახე–სიმბოლოების, ალეგორიების გაგებას. დახვეწენ დამოუკიდებელი თუ გუნდური მუშაობის უნარებს, მწერალთან ცოცხალი დიალოგის გზით წარმოაჩენენ მკითხველის პოზიციას. ანალიტიკური აზროვნებისა და დასკვნების გამოტანის ჩვევებს, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორებსა და წლის ბოლოს მისაღწევ შედეგებთან შესაბამისობაში აისახება.

პროექტის განხორციელებისათვის საჭირო დრო: 6 დღე.

<u>I დღე</u> –პროექტის თემის, შინაარსისა და მიზნის დასახვა– დაფიქ სირება. სამუშაო ჯგუფების ორგანიზება.

<u>II დღე</u> –საჭირო მასალის (ნაწარმოებების, ფილმების) მოძიება. ესქილეს ტრაგედია ,,ოიდიპოს მეფის" მოპოვება ინტერნეტით ან სხვა წყაროებით. ,,ოიდიპოს მეფის" წარდგენა კლასში

ISSN 1512-1801

კომენტირებული კითხვით მასწავლებლისა და მოსწავლე–
თა მომაწილეობით. ჩანაწერების გაკეთება რეგულარულად.

III დღე – მწერალ რეზო ჭეიშვილთან დაკონტქტება, იდეის გაცხადე–
ბა, პროექტის გაცნობა, ნაწარმოებების წაკითხვა, ფილმების ნახვა
საჭირო მასალის ჩანიშვნით. მწერლის მითითებების გაზიარება.

IV დღე – მოძიებული საანალიზო მასალის ორგანიზება.

V დღე– მზადება მწერალთან შესახვედრად. საკლასო ოთახის მოწყობა
მოსაწვევი ბარათების დამზადება.
მწერლისა და სტუმრების მოწვევა საფინალო– საპრეზენტაციო
გაკვეთილისათვის. გაკვეთილის აგეგმვა. ცხრილების,პოსტერების,
ილუსტრაციების მომზადება,
კომპიუტერის, გასაშუქებელი სლაიდების, კომპიუტერის თვალსა
, ჩინოების, ვიდეო და ფოტომასალის მომზადება პროექტის დახუ
რვისათვის.

VI დღე – პროექტის დახურვა. შეხვედრა მწერალ რეზო ჭეიშვილთან.

ბიუჯეტი: მშობელთა შემოწირულობა წმინდა სამების ხატის შესაძენად მწერლის შამახსოვრო საჩუქრისათვის.

P.S. ნაშრომს თან ახლავს ფოტო და ვიდეომასალა, რომელიც ამავდროულად განთავსებულია ინტერნეტის ქსელში Youtube-ზე, ლინკი http://www.youtube.com/watch?v=xSXeBznNCno სახელწოდებით ,,მწერალი რეზო ჭეიშვილი" გაკვეთილზე (ან ,,მარინა არაბიძე–აშვეთია– ,,მწერალი გაკვეთილზე")

საფინალო გაკვეთილის გეგმა
,, მწერალი გაკვეთილზე "
(პროექტის დახურვა)

გაკვეთილის თემა	მწერალი რეზო ჭეიშვილი გაკვეთილზე – მწერლის შემოქმედებითი იმპულსების წარმოჩენა მწერალთან ცოცხალი შეხვედრა– დიალოგის კვალობაზე	შენიშვნა
გაკვეთილის მიზანი	მწერალ–კლასიკოსი რეზო ჭეიშვილის შემოქმედების გაცნობის შედეგად მოძიებული მრავალფეროვანი მასალისა და მიღებული ინფორმაციების გააზრების შედეგად მიღებული ცოდნის წარმოჩენა ავტორისა და ფართო აუდიტორიის წინაშე. დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზის, მსჯელობის, საკომუნიკაციო და ურთიერთთანამშრომლობის უნარების ხელშეწყობა. სხვადასხვა ცხოვრებისეული პრობლემის ამოცნობა და წარმოჩენა მწერლის შემოქმედებაში (მაგ: ეკოლოგიური გლობალური პრობლემა –,, ნობელი").	
	მოსწავლე შეძლებს ინდივიდუალური და ჯგუფური	

ISSN 1512-1801

მისაღწევი შედეგი	მუშაობის შედეგად მიღებული ინფორმაციის წარმოჩენას აუდიტორიის წინაშე, აფიქსირებს საკუთარ ვარაუდებს სადაო ან პრობლემურ საკითხებზე. ამოიცნობს მწერლისეული მხატვრული ხერხების მიღმა ნაგულისხმევ იდეას, მწერლის მთავარ სათქმელს. ავლებს პარალელებს სხვადასხვა ნაწარმოებიდან მიღებულ განსხვავებულ ინფორმაციებს შორის.იყენებს დისკუსიისა და კამათის ენობრივ მახასიათებლებს. ისმენს განსხვავებულ აზრს და გამოაქვს სათანადო დასკვნები. გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას მიღებული ინფორმაციის შესახებ.	
გაკვეთილის ორგანიზება და აქტივობები. გაკვეთილის	1. მასწავლებელი, მოსწავლეები და სტუმრები ეგებებიან მწერალ–კლასიკოსს რეზო ჭეიშვილსა და მის მეუღლეს ქ–ნ მარინე ვერულაშვილს. 2. მასწავლებელი აცნობს აუდიტორიას პროექტის ძირითად პოსტულატებს, მისი განხორციელების მდგომარეობას, გაკვეთილის თემასა და მიზანს. 3. მოსწავლეები განმარტავენ გამოსახვის მხატვრულ ხერხებს– სატირასა და იუმორს. 4. ბავშვები გადმოსცემენ ნოველა ,,ნობელის" შინაარსს, ახასიათებენ მოქმედ გმირებს, კითხულობენ ფრაგმენტებს ტექსტიდან და გამოყოფენ ,,ტექსტურ სიგნალებს," რომელთაც მივყავართ ნაწარმოების იდეის, ანუ მწერლის ჩანაფიქრის ამოცნობამდე, მსჯელობის, ანალიზისა და ვარაუდების გამოთქმის გზით. 5. მოსწავლეები მსჯელობენ მსოფლიო გამომგონებელზე–ნობელიზე, ნაწარმოებში დასმულ ეკოლოგიურ საფრთხეზე, აზოგადებენ პრობლემას და ჩვენი ნპლანეტის გლობალურ უბედურებად წარმოაჩენენ მას, ნოველის ფინალის ,,ოიდიპოს მეფის" შინაარსის გააზრების კვალობაზე. 6. ანალიზდება ესქილეს ტრაგედია ,,ოიდიპოს მეფე", ხაზი ესმება ცოდვილი შვილის გაუგონარ სისასტიკეს–მშობლის მკვლელობას, ადამიანებიც ხომ ასე იქცევიან, როცა თავიანთი ქმედებით კლავენ და ანადგურებენ დადა–ბუნებას. ეს ყოველივე კი მშობლის მკვლელობის ტოლფასია. 7. მოსწავლეები გადმოცემენ რეზო ჭეიშვილის შემოქმედების იმ ნიმუშებს, რომლებშიც მწერალი	

ISSN 1512-1801

ორგანიზება და აქტივობები გაკვეთილის ორგანიზება და აქტივობები	სატირის მეშვეობით გადმოგვცემს სხვა ცხოვრებისეულ პრობლემებს. ესენია: ნოველები– ,,შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი".(მეოცნებე ტრაბახა და რეალობას მოწყვეტილი გმირის ფანტასტიკური ცრუ ამბებით). **8.** გაანალიზდა ნოველა ,,ღამის სტუმრები", რომლითაც მწერალმა მკითხველი გააფრთხილა, რომ არასასურველმა ჩრდილოელმა სტუმარმა შესაძლებელია მამული წაგვართვას. **9.** ფართო ფორმატის მონიტორზე ნაჩვენები იქნა ფრაგმენტები მხატვრული კინო–ფილმებიდან: ,,ცისფერი მთები, ანუ ტიანშანი" და ,,ჩემი მეგობარი ნოდარი". **10.** ცალკეული ჯგუფის ლიდერებმა წარმოაჩინეს თავ–თავიანთი გუნდის ნამუშევარი ე.ი. გააკეთეს პრეზენტაცია წინასწარ მომზადებულ ფართო ფორმატებზე. პრეზენტაცია წინასწარ გაიწერა დროში , გუნდის წევრებს დაურიგდათ თვითშეფასების ფურცლები. **11.** გაანალიზდა ნაწარმოებებიდან სატირულ– იუმორისტული ფორმით გადმოცემული ცხოვრებისეული პრობლემები. **12.** გაიმართა მწერალთან დიალოგი კითხვა – პასუხის რეჟიმში, წინასწარ მომზადებული თუ სპონტანურად დასმული კითხვების კვალობაზე. **13.** მოსწავლეებმა მიიღეს კონკრეტული, ამომწურავი და საინტერესო პასუხები, ამავდროულად რჩევა –დარიგაბანი მწერლისაგან.	
გაკვეთილზე გამოყენებული სასწავლო რესურსები	სპეციალურად მომზადებული პროექტის საპრო– გრამო ბუკლეტი. კომპიუტერი, სლაიდები, პოსტერები, წიგნები, ფურცლები, კალმები, წმინდა სამების ხატი (მწერლის საჩუქრისათვის).	
შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან	**ზეპირმეტყველება– IX.1**. მოსწავლე ისმენს და წარმოადგენს აუდიტორიის წინაშე სხვადასხვა თვალსაზრისს პრობლემატურ საკითხებზე. **IX –2.** ისმენს და აფასებს სხვათა ნააზრევს, გამოთქვამს მოსაზრებებს, ავლენს კომუნიკაციისა და მსჯელობის უნარებს აუდიტორიის გათვალისწინებით. **კითხვა– IX.6**. კითხულობს ტექსტს და გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას წაკითხულის მიმართ.	

ISSN 1512-1801

მოსწავლეთა ცოდნისა და აქტიურობის შემოწმება.	**IX.8**.– მოსწავლე იყენებს კითხვის მიზნის შესაბამის სტრატეგიებს. **წერა–IX.9.** მოსწავლეგადმოსცემს საკუთარ თვალსაზ-რისს სადაო და პრობლემატურ საკითხებზე. აჯამებს განსხვავებულ შეხედულებებს მოცემულ საკითხზე. შეუძლია მხატვრული ხერხებისა და მისი მიზანდასახულობის გაანალიზება.	
დამსწრე საზოგადოების შეფასება	გამოთქვამენ აზრს პროექტის შესახებ, ავსებენ შეფასების ფურცლებს, მრავალ დადებითთან ერთად მცირეოდენ შენიშვნასაც აფიქსირებენ.	
სასწავლო პროექტის მწერლისეული შეფასება	მწერალი აკეთებს საბოოლოო დასკვნას, წარმოდგენილი პროექტის შესახებ, მოსწავლეებს უქებს მკითხველის ხედვისა და დამოუკიდებელი აზროვნების, განსხვავებული აზრის გამოხატვისა და ანალიზის უნარებს, აღნიშნავს, რომ მათ, როგორც მკითხველებს, სწორად ამოუცნიათ მწერლისეული ტექსტური სიგნალები ნოველებიდან, თუ ფილმებიდან, ზუსტად გაუაზრებიათ ავტორისეული ჩანაფიქრი. კლასიკოსმა მწერალმა საინტერესოდ წარმოადგინა განხილული ნაწარმოებების შესახებ ზოგიერთი უცნობი დეტალი, გამოხატა მადლიერება აღნიშნული ღონისძიებისადმი, მასწავლებელს საჩუქრად გადასცა რჩეულ ნაწარმოებთა ორტომეული და მთელ კლასს პროექტის ლოგიკურ დასასრულად შესთავაზა სიურპრიზი: **ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში თავის 80 წლის იუბილეზე დასწრება,** რომლის მოსაწვევებიც თავად მწერალმა დაურიგა ყველა მოსწავლეს, თან დასძინა, რომ მათ ეს ჯილდოდ დაიმსახურეს, როგორც რეზო ჭეიშვილის შემოქმედების ღირსეულმა მკითხველებმა, რამაც უზომოდ გაახარა პროექტის მონაწილენი. მოსწავლეები დაჰპირდნენ მწერალს, რომ მისი შემოქმედების აქტიური მკითხველები გახდებოდნენ, უფრო მეტს წაიკითხავდნენ და მეტად ჩაუღმავდებოდნენ მწერლის ნამოღვაწარს.	

ISSN 1512-1801

აპლიკაციის ფორმა

ავტორის გვარი, სახელი:
მარინე არაბიძე - აშვეთი

თანაავტორის . თანაავტორების გვარი, სახელი:

მისამართი:
ქუთაისი, დავიტაშვილის ქ. №11

ტელეფონის ნომერი:	მობილური:	სახლი:
	599 24 04 69; 577 67 47 85	

ფაქსი:

ელ-ფოსტის მისამართი:
arabidze.marina@bk.ru

დაწესებულების დასახელება:
სსიპ წმინდა ნინოს სახელობის ქუთაისის №3 საჯარო სკოლა

თანამდებობა:
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ნაშრომის სათაური:
რეზო ჭეიშვილის შემოქმედებითი იმპულსები
(სასწავლო პროექტი IX კლასში)